საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 105

ქ. ბათუმი 18 ნოემბერი, 2016 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ვადის განსაზღვრისა და ატესტაციის ჩატარების წესის განხილვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 89^{11}-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის 2015 წლის 27 ნოემბრის კანონის (გამოქვეყნებული, 10/12/2015, სარეგისტრაციო კოდი 430020000.05.001.018008) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 14 ივნისის N70/ნ ბრძანების (გამოქვეყნებული - ვებგვერდი, 15/06/2016, სარეგისტრაციო კოდი040030000.22.022.017144), საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტისწესდების მე-8 მუხლის, მე-V^1თავის, 62^1-62^5, 63-ე მუხლების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ბსუ-ს წესდების შესაბამისად საქმიანობის წარმართვისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 ივლისის N46 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89^{11}-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის **ატესტაცია ჩატარდეს 2016 წლის 20 დეკემბერს.**
2. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ჩატარების თანდართული წესი **(დანართი 2)** გადაეგზავნოს ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

3. თანდართული წესის ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ, სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარების მიზნით, ბსუ-ს რექტორის მიერ გამოცემული იქნეს შესაბამისი სამართლებრივი აქტები (ატესტაციისთვის წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და მათი წარდგენის ვადა და სხვა) და **არაუგვიანეს 2016 წლის 10 დეკემბრისა** წარმოდგენილი იქნეს აკადემიურ საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად **საატესტაციო კომისიის შემადგენლობა.**

4. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

5. კონტროლი ამ დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ ნათელა წიკლაშვილს.

6. დადგენილება მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

7. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

8. დადგენილება ძალაში შედის ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ბსუ-ს წესდების საფუძველზე და განსაზღვრავს ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულების (შემდეგში „ინსტიტუტების”) სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ჩატარების წესს, ატესტაციის პროცედურულ საკითხებსა და საატესტაციო კომისიის მუშაობის წესს.

2. სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის მიზანია სამეცნიერო თანამდებობის პირისპროფესიული უნარების და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

3. ატესტაციის ჩატარების შედეგად:

ა) საატესტაციო კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უნარჩუნდება შრომითი ურთიერთობა შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე;

ბ) საატესტაციო კომისიის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს 2017 წლის 1 იანვრიდან უწყდება შრომითი ურთიერთობა.

მუხლი 2. ატესტაციის ჩატარების წესი

1. სამეცნიერო პერსონალის ატესტაცია ტარდება კომისიასთან გასაუბრების გზით.

2. სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ჩასატარებლად **10 კალენდარული დღით ადრე დგება დახასიათება და წარედგინება ბსუ-ს რექტორს საატესტაციო კომისიისათვის გადასაცემად:**

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) უფროსების მიერ - ამ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირის შესახებ;

ბ) სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მიერ - ამ ინსტიტუტის განყოფილების უფროსების შესახებ;

გ) რექტორის მოადგილის (სამეცნიერო მიმართულებით)/ინსტიტუტის დირექტორის მიერ - სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

3. დახასიათებაში მიეთითება ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიული უნარების, დაკავებული თანამდებობისათვის (მთავარი/უფროსი მეცნიერო თანამშრომელი ან მეცნიერი თანამშრომელი) წაყენებულ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის, სამეცნიერო პერსონალისათვის მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების დროულობისა და ხარისხის, ბსუ-ს სასწავლო პროცესში მისი ჩართულობის (მონაწილეობის), მთავარი მეცნიერი თანამშრომლის შემთხვევაში - მისი განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევების შესახებ, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს პირის პროფესიულ უნარებს.

4. ატესტაციას დაქვემდებარებული პირი **ატესტაციის ჩატარებამდე 7 კალენდარული დღით ადრე** უნდა გაეცნოს მასზე შედგენილ დახასიათებას (წარედგინება ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად).

5. გასაუბრებამდე, არაუგვიანეს **2 კალენდარული დღისა** კომისია გაეცნობა ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიერ წარმოდგენილ ანკეტას (თანდართული

ფორმის შესაბამისად) და ამ მუხლით დადგენილი წესით შედგენილ დახასიათებას.

6. ატესტაციის ჩატარებისას საატესტაციო კომისია ისმენს სამეცნიერო თანამდებობის პირის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ, ამოწმებს დაკავებული თანამდებობისათვის ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და ბსუ-ს წესდებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მის შესაბამისობას, უსვამს შეკითხვებს სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ანკეტაში მითითებული ინფორმაციის შესახებ.

მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება

1. საატესტაციო კომისიის შემადგენლობას ბსუ-ს რექტორის წარდგინებით ამტკიცებს ბსუ-ს აკადემიური საბჭო.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და სხვა წევრები.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრს უფლება აქვს ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

5. კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ხელმძღვანელოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ’ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, წინამდებარე წესითა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის შესახებ ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით.

6. კომისია ვალდებულია გამოიტანოს მოტივირებული და დასაბუთებული დასკვნა. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა არის გადამწყვეტი.

7. ატესტაციის შედეგების მიხედვით კომისიას თითოეული ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიმართ გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება (დასკვნა):

ა) შეეფერება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) უნდა განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

8. კომისიის დასკვნა, მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა უნდა გამოქვეყნდეს კომისიის მუშაობის ადგილზე და შესაბამისი ინსტიტუტის საინფორმაციო დაფაზე.

9. ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიერ, კომისიის დასკვნის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა შეიძლება წარდგენილი იქნეს საპრეტენზიო განაცხადი, რომელიც განიხილება იმავე საატესტაციო კომისიის მიერ, საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა და საბოლოო შედეგების შესახებ ინფორმაცია (სააატესტაციო მასალებთან ერთად, რომელსაც მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური) წარედგინება ბსუ-ს რექტორს, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

10. სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის შედეგების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, მისი გამოცემიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა ეცნობება სამეცნიერო პერსონალს.

11. ატესტაციის შედეგების შესახებ სამართლებრივი აქტი და თითოეული პირის შესახებ დასკვნა, წარმოდგენილ ანკეტასთან და დახასიათებასთან ერთად უნდა მიეთვისოს დასაქმებულის პირად საქმეს.

ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ანკეტა

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ. ფოსტა	
ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობა	

I. კატეგორია: განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურეობრივი გამოცდილება
1.1 განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	კვალიფიკაცია

1.2. აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი

დისერტაციის დაცვის თარიღი	
დისერტაციის თემა	
მინიჭებული კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი	

1.3. სამუშაო გამოცდილება, მათ შორის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესაბამისი მიმართულებით არანაკლებ 6 (ექვსი) წლით მუშაობის

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.4. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (ბოლო 6 წლის განმავლობაში)

თარიღი	კურსების/ტრენინგების დასახელება	დიპლომის/სერთიფიკატის ნომერი

1.5. მნიშვნელოვანი პუბლიკაციები კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ბოლო 6 წლის განმავლობაში)
(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით).

№	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით; კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები დასხვა)	პუბლიკაციის სათაური, ავტორები. ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	გამოქვეყნების წელი

1.6. პატენტები (გამოგონებები)

№	გაცემის წელი	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი

1.7. განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევა (მიღწევები):

1.8. საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა

№	განხორციელების წლები	დონორი ორგანიზაცია, პროექტის/ხელშეკრულების №	პროექტის დასახელება	როლი პროექტში

1.9. საატესტაციო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ბოლო 6 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი ნაშრომი(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნების წელი

II. კატეგორია: სხვა სახის აქტივობა

(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, სტიპენდია, ჯილდო, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება ბსუ–ში სწავლითა და სამეცნიერო მიმართულებით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.)

№	აქტივობის დასახელება

ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ

ხელმოწერა გარკვევით
თარიღი